ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲬᲚᲘᲬᲓᲔᲣᲚᲘ
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

III 2011

რევაზ შეროზია

ᲙᲕᲚᲐᲕ "ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘᲡ" ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. "განდეგილი" არამარტო ილიასი, არამედ ქართველური მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები რომ არის, საკამათო არაა. ლიტერატურის კრიტიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და აზრთა სხვადასხვაობასაც, ძირითადად, პოემის უნიკალურობა განაპირობებდა.

აუცილებელი არ არის, პოემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე ვისაუბროთ. მათგან გასაზიარებელი ჩანს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მწირი დამარცხებული კი არა არის, არამედ იგი გამარჯვებულია (ტ. ფუტკარაძე, 2007). თუმცა, ეს მართებული დასკვნა ბუნებრივად აღძრავს კითხვას: თუკი "უფლის ნებით" ბედისგან მოვლენილი განსაცდელი მწირმა დასძლია და ღვთისმშობელმაც მიუტევა ეს უნებლიე (ადამიანური) შეცდომა, რაღად კლავს ილია თავის საყვარელ, "... წმინდანს იგი წამებულს, მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა ძლევით მოსილსა და განდიდებულს" გმირს?! რა აზრი დევს პოემის ასეთ ფინალში?!

კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი არაა მხოლოდ პოემის ანალიზი. საჭირო ჩანს, ერთი მხრივ, ილიას შემოქმედებისა და, მეორე მხრივ, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიის გათვალისწინება.

უფლის საყვარელი შვილები, - მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები ... — თავიდანვე მარტოობისთვის არიან გამზადებულ-შეწირულები, - ფიქრის მეგობრები განცდილ-ნანახსა და ნააზრევს მხატვრულ-ემოციური სიტყვიერი მასალით ან ბგერა-ფერებით შემოსავენ და პროვინციის, ქვეყნის (ერის) სატკივარს მალამოდ ადებენ. ფიქრისთვის სულიერი და ფიზიკური "განდეგილობა" ერთადერთი მდგომაროებაა და ამ მძიმე ხვედრს ვერცერთი ხელოვანი თავს ვერ აარიდებს.

2. ახლობლები თავიანთ მოგონებებში აღნიშნავენ, რომ ილიას პატარობიდანვე ახასიათებდა მარტოობისკენ სწრაფვა. ეკლესიის წიაღშიც იგი, როგორც ჩანს, სულიერ და ფიზიკურ სიმყუდროვეს ხედავდა, თუმცა, ადრიდანვე ნაგრძნობმა სამშობლოს სატკივარმა უარი ათქმევინა განზრახვაზე. მაგრამ "მრავალგზით ტანჯულსა და ტანჯვათ ზედა ძლევით მოსილსა და განდიდებულს" სიცოცხლის ბოლომდე "ბერობის" სამოსელი არ გაუხდია:

ექვთიმე თაყაიშვილი ილიას სიტყვებს იხსენებს, - "ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო ... გვითხა: "მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულშიო" ... გულითადი მეგობრები არა ჰყოლია მას" (შდრ.: ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი).

ერთ-ერთ აღრინდელ ლექსში "გუთნისდედა" პოეტი იტყვის:

მე ჩემი ჭირის, ჩემი წუხილის,

ჩემი კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან

გრიგოლ ყიფშიძე აღნიშნავდა: "გარეგნობით დამშვიდებულს, დიდხანს დუმილით ყოფნის მტვირთველს, ადვილად ვერავინ მიუხვდებოდა, რა მწარე გრძნობა სდუღდა მის გულში". შემდეგ, "განდეგილზე" საუბრისას, იგი საინტერესო და აშკარად მართებულ მოსაზრებას გვთავაზობს პოეტისა (პიროვნების) და მისი შემოქმედების ურთიერთკავშირის თაობაზე: "ძნელია, თუ არ სრულიად შეუძლებელი, განდეგილის ისეთი ხელოვნებით დასურათება, როგორც ეს ილიამ მოახერხა, მარტოოდენ შემოქმედობის საიდუმლოებათა შემწეობით, მარტოოდენ პოეტურის ინტუიციით, უმისოდ, რომ თვითონაც თვისის გულის სიღრმეში არ ეგრძნოს ძლიერი წყურვილი მარტოობისა, დიდი ქარტეხილი სულიერ მღელვარებისა, რელიგიურის ექსტაზით გამოწვეული".

ილიას პიროვნულ თვისებებზე საუბრისას თანამედროვენი მის სიმკაცრეზე, გულჩათხრობილობაზე მიუთითებენ. გიორგი ლასხიშვილი იგონებს: "ბევრისგან გამიგონია, ილია მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანიაო. ტყუულად ხომ არ ამბობდნენ, რომ "ოთარაანთ ქვრივი" თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო... ვერ ვიტყვი, რომ ეს სავსებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჯიუტიც, მაგრამ სასტიკი არა. გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს და თუ გაუხსნიდა კიდეც, თავი მაინც ისე შორს ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერავინ გაუბედავდა..."

ილია ერთ ადრინდელ ლექსში ამბობს: " ... ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა, ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!" (ან: "დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან ..."). მან კარგად იცის, რომ "ზღვის ძლევას" " ... როს კი სურს, გადამკრავს მძლავრს ხელს და ჩამღუპავს მე თვის ცივსა სიღმეს!". მაგრამ მაინც უშიშრად, მარტო მიცურავს "ცხოვრების ზღვაში". და მაინც, ეს "მაგარი, გაუტეხავი" ადამიანი "დარდიანია" და "დიდხანს დუმილით ყოფნის მტვირთველი".

ილიასა და მწირის შინაგან (სულიერ) და გარეგან (ფიზიკურ) სახეებს შორის მსგავსება ძნელი დასანახი არაა:

"არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნევოდა.
... . . .
სახე გამხდარი, კუშტი და მწყარალი,
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა".

მთავარი მაინც შინაგან სახეთა მსგავსებაა. ორივე ტანჯულია, წამებულია; ორივე უფლის ძალასა და სიყვარულს არის მინდობილი; ორივე გამარჯვებულია ხორცთან ბრძოლაში ...

შენიშვნა: სულისა და ხორცის (გვამ-გონების) "ორთაბრძოლის" თემა ქართველურ პოეზიაშიც ცნობილია. შდრ.: მეგრული "შური მძორიშ

მათხილარი" (სული მძორის დარაჯი, მწყემსი) და ხევსურული "რამ დამაბერა" ივანე წიკლაურისა.

ჭაბუკობისდროინდელ ლექსში ("ლოცვა") ილია სახარებისეულ თემას მიმართავს:

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუთქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსეს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, —
ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს,
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი!
მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო შენი!

შემდეგ "განდეგილში" ამავე თემას გაიმეორებს პოეტი: "... თუ მაცდური ხარ, სჩანს, ღმერთს სწადიან, მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს. ამოვედ, ვინც ხარ! ... იყავნ ნება ღვთის!"

კითხვას თუ დავსვამთ: გაუძლეს თუ არა ილიამ და მისმა მწირმა გამოცდას (სულისა და გონების (ხორცის) "კამათში", შერკინებაში რომელმა გაიმარჯვა? პასუხი სხვადასხვაგვარი შეუძლებელია იყოს, — ორივემ, პოეტმაც და მისმა გმირმაც ერთნაირად, ბოლომდე ატარეს ჯვარი და ორივე უფლის სიყვარულის ერთგული დარჩა. ამიტომ, მიუღებელი ჩანს აზრი, — თითქოს "ილია ჭავჭავაძე განდეგილს კიცხავს და სჯის არა მიწიერის, არა ამქვეყნიური ცხოვრების, არამედ სულის, რწმენის ღალატისთვის! ..." (თ. ჭილაძე, 1987, გვ. 28).

შენიშვნა: საერთოდ, გაოცებას იწვევს საუბარი ილიას მიერ მწირის გაკიცხვაზე ... ქრისტეს მცნება, ქრისტიანული მორალი, ქრისტიანობა ქართველობამ იმიტომაც მიიღო ძალდაუტანებლად, რომ ეს ყველაფერი მის ბუნებაში უკვე იყო ... ილია კი ერთი უკეთესი ქართველთაგანია. მეორეადა, პოეტის დამოკიდებულება თავისი გმირისადმი ნათელია, ძიება არ სჭირდება:

"ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით მოსილსა და განდიდებულს".

3. კითხვა, — თუ რატომ იყო ილია "დარდიანი ადამიანი", საფიქრებელია, უშუალოდ უკავშირდებოდეს "განდეგილის" ფინალს. ანუ: რატომ გასწირა პოეტმა თავისი გმირი, რა აზრი დევს პოემის ასეთ დაბოლოებაში?

არტურ ლაისტი იგონებდა: " ... როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა ("სული მიწუხს, გულიც მასთან ღონდება; თვალს ავახელ – ცრემლები არ მშორდება ..."), ან იჯდა ან ჩაფიქრებული იდგა. ამ დროს სახეზე რაღაც იდუმალი მწუხარება ეხატებოდა, მიხვდებოდით, ილია მოხუცებულობას

გულისტკივილით გრძნობდა. ენანებოდა, რომ საამქვეყნო სიცოცხლე მთელი თავისი მშვენიერებით დასასრულს უახლოვდებოდა." შეიძლება ეს ასეც იყო, - პირადული ემოციებისგან არავინაა თავისუფალი, მაგრამ იმავე მოგონებებიდან და, განსაკუთრებით, ილიას შემოქმედებიდან ნათლად ჩანს მისი დარდისა და წუხილის მიზეზები.

ილიამ იცოდა, რომ თვითონ არ არის ის გმირი, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლაში წინ უნდა გაუძღვეს ერს"... ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით!" (გალაკტიონი). არამედ იგი ერის გამომღვიძებელი და საბრძოლო გზის მაჩვენებელია მხოლოდ. ამიტომაც თავიდანვე ასეთ მებრძოლ და მამულისთვის თავდადებულ გმირს ეძებდა. იმედი ჰქონდა, რომ თანამოაზრეებსაც იპოვიდა. მაგრამ რეალობა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა: "... შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!" შემდეგ, პოემა "აჩრდილში", უფრო მკაცრად იტყვის პოეტი: "აგერ ორს-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან..." ასეთ პირობებში გმირის ძიება უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომაც ცრემლითა და ნაღველით გაჟღენთილი კითხვა აღმოჰხდება: "მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი? იგი აღარ გყავთ ... მის მოედანი ჯაგით აღვსილია, ვერანად ქმნილა, გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წარწყმედილა".

პოეტი უფრო მუქ ფერებშიც გვიხატავს ამ სურათს:

"და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული".

და: "ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი, დიდი სამოთხის კუთხე პატარა, ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი, რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა..."

შენიშვნა: რაოდენ ამაღელვებელია (ამავე დროს, კონტრასტულიც...) გაუბედურებულ-გამწარებული გაბრიელის სიტყვები, სამშობლოს იძულებით დატოვებასთან დაკავშირებული (შეადარეთ "ყვარლის მთებს"). საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეებთან შეხვედრისას აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ შენიშნა, რომ "გლახის ნაამბობის" ეს ადგილი ყველა ქართველმა ზეპირად უნდა იცოდესო. სამწუხაროდ, არათუ გაბრიელის პირით ნათქვამი ილიას ეს სიტყვები, "სამშობლო" სიტყვის მნიშვნელობაც აღარ ახსოვს გათითოკაცებული ქართველობის უმეტეს ნაწილს ...

4. შეიძლებოდა გვეთქვა: "აჩრდილი" (XI-XIV თავების გამოკლებით) წინა, "შემამზადებელი" ნაწილია "განდეგილისა", — პოეტის შემოქმედება (განვლილი ცხოვრების გათვალისწინებით) ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ, რატომ მივიდა იგი "განდეგილის" შექმნის იდეამდე; რისი თქმა ("რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!") სურდა პოემით მშობელი ერისათვის.

"განდეგილი" ვისაც ცხოვრებისაგან განდგომის ან ასკეტიზმის კრიტიკად შეიაჩნია, მჯედველობის მიღმა ტოვებს პოემის ორ მონაკვეთს. ესაა ის სიყვარულით შეზავებული დამოკიდებულება, რითაც პოეტი თავის გმირს

წარმოგვიდგენს და ასევე (მთავარი), სცენა, სადაც სენაკში დაბრუნებული მწირი ღვთისმშობლის ხატს იმედით შესცქერის:

"გულზედ მოეშო ... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა ..."

დიახ, "არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან" ... და ეს არის ნიშანი იმისა, რომ მწირის სულმა, ღვთიურმა ძალამ ისევ დაჯაბნა "მაცდურება", "ზორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულა!"

მეორე, რაც პოემის აუცილებელი ნაწილია (შეიძლება ითქვას, გასაღებიც), არის ავტორისეული თქმა ("და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ ..."). ცხადია, მწირის სიკვდილის გარეშე პოეტი ბეთლემის ასეთ მდგომარეობას (გავიხსენოთ ქრისტე იერუსალიმის ტაძარში) ვერ დაგვიხატავდა; ვერც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ მისი თანადროული საქართველო ასეთ ბეთლმს ჰგავს ("ტაძარი გაუქმებული") და არა ისეთს, "სად წმინდანთ უდიდებიათ ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების"... თუ არა ამის თქმა, პოეტს თავისუფლად შეეძლო პოემა დაემთავრებინა სიტყვებით: "... და იქავ სხივქვეშ უტევა სული".

შენიშვნა: წლების მანძილზე ახალგაზრდებს ასწავლიდნენ, თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილი დადებითად აფასებდა რუსეთის ექსპანსიას საქართველოში. თუმცა, პოეტი ავტორისეულ თქმაში ("ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო ...") ნათლად წარმოაჩენდა თავის პოზიციას ...

ილიას ასეთი უიმედო, პესიმისტური სურათის ამარად არ დაუტოვებია ქართველობა. "განდეგილამდე" ბევრად ადრე დაიწერა "ზემო კარგო ქვეყანავ". მაგრამ მთავარი მაინც "ბაზალეთის ტბა" არის, — იმედი, რომ "გმირის დამბადი დიდი საგანი" კვლავ აღორძინდება, "ქართვლის დედა" აღზრდის ვაჟკაცს, რომელიც ტბიდან აკვანს ამოიყვანს და გმირი ქართველობას "ტანჯვის ცრემლს მოსწმენდს". იმ აკვანში კი ყრმა-თავისუფლება წევს, რომელიც ჯერ კიდევ სათუთია და გაზრდა, მოვლა-პატრონობა სჭირდება ... გმირის სულმა კი უნდა გაუძლოს გამოცდას, ისევე უნდა სძლიოს ხორცს, როგორც მწირის სულმა დაამარცხა მაცდური, მაგრამ გმირი ვერ დაიბადება, მწირი თუ არ მოკვდა, - თესლი ქრება, რათა ახალი სოცოცხლე აღმოცენდეს ...

ილიამ ისეთი "კვალი განათლებული" დაგვიტოვა (თავისი შემოქმედებითაც და მათ შორის "განდეგილით"), რომელშიც ქართველური სული, "მაცდურების" დამთრგუნავი, აუცილებლად გაიხარებს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ არ გავანადგურეთ ისევე, როგორც ეს ოცი წლის წინ და იმაზე ადრეც არაერთხელ "მოგვიხერხებია" ...

ლიტერატურა

ტ. ფუტკარაძე, 2007 - ტ. ფუტკარაძე, უფლისადმი ლოცვა “გლოვის ღელეში“ (კიდევ ერთხელ ილია ჭავჭავაძის “განდეგილის“ დედააზრის შესახებ): ლიტერატურული დიალოგები, III, ქუთაისი, 2007, გვ. 212-218.

თ. ჭილაძე, 1987 - თ. ჭილაძე, წინასწარმეტყველი, xÑ., 1987.

REVAZ SHEROZIA

ABAUT ‘HERMIT~ AGAIN

The auther presented Georgia’s situation of the second half of thr 19 th century in ris poem.

This article presents the idea about this topic according to Ilia chavchavadze’s works and biography. The hermit is winnesr of struggle with the temptation of the world. Ilia kills him in order to show us Geotgian’s main problems by representing the isolated Bethehem.